ირაკლი ღარიბაშვილი

თანამდებობა:
პრემიერ-მინისტრი

კავშირი ბიძინა ივანიშვილთან

პოლიტიკაში მოსვლამდე მისი კარიერა მთლიანად ივანიშვილების ოჯახთან იყო დაკავშირებული:

> 2004-2012 წლებში, **იკავებდა** სხვადასხვა პოზიციას ბიძინა ივანიშვილის კომპანიებსა და ორგანიზაციებში; ივანიშვილისვე **თქმით**, ღარიბაშვილი მისი ოფიციალური წარმომადგენელი და „მდივანი“ იყო, ხოლო მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, ღარიბაშვილი ასევე იყო ბერა ივანიშვილის **პროდიუსერი**.

სავარაუდო კორუფციული საქმეები

ირაკლი ღარიბაშვილის მიმართ მრავალი კორუფციული ბრალდებიდან არცერთი არ გამოძიებულა, მათ შორისაა:

* ნეპოტიზმი და გავლენით ვაჭრობა – ნათესავების დანიშვნა მაღალ თანამდებობებზე და მათთან დაკავშირებული კომპანიებისთვის სახელმწიფო კონტრაქტების **მიცემა**.
* უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება / სახელმწიფო ქონების მითვისება – პირადი რეზიდენციის **აშენება** რეკრეაციულ ზონაში და მიმდებარედ არსებული ტყის **მითვისება**.
* დაუსაბუთებელი ქონების დაგროვება – ოფიციალურად დეკლარირებულ შემოსავალზე მეტის ღირებულების მხოლოდ მაჯის საათების კოლექციის **შეგროვება**.

ადამიანის უფლებების დარღვევები

ირაკლი ღარიბაშვილის თანამდებობაზე ყოფნის პერიოდს უკავშირდება პოლარიზაციისა და ძალადობის ზრდა საზოგადოებაში:

* **თავდასხმები** ოპოზიციურ პარტიებზე (როგორც ოფისებზე, ისე ინდივიდებზე)
* სამოქალაქო საზოგადოებისა **ლანძღვა** და კრიტიკული მედია ორგანიზაციების **დევნა**
* რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების მიმართ დისკრიმინაციული პოლიტიკის **გატარება**
* ულტრამემარჯვენე, პრორუსული ჯგუფების გაძლიერება და მათი ღია მხარდაჭერა
* ამ ძალადობრივი ჯგუფების მიერ ლგბტ აქტივისტებისა (**17 მაისი**, 2013) და ჟურნალისტების (**5 ივლისი**, 2021) დარბევა
* პოლიტიკური ოპონენტების პირადი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერების გასაჯაროება

> **ციტატა:** *რეალურად ძალაუფლება, მანდატი ეკუთვნოდა ბატონ ბიძინას, ეკუთვნის მას. ეს ავიწყდება ყველას. “ყველაში” ვგულისხმობ ყველას*
>
> 5 მარტი 2019

კარიერა

- **2012** – „ქართულ ოცნებასთან“ ერთად მოვიდა პოლიტიკაში. დაინიშნა შსს-ს მინისტრად.
- **2013** – ბიძინა ივანიშვილი ჩაანაცვლა პრემიერ-მინისტრის პოსტზე.
- **2015** – ივანიშვილთან **„კონსულტაციის“** შემდეგ, თანამდებობიდან გადადგა. მუშაობა დაიწყო ივანიშვილთანვე დაკავშირებულ ჩინურ **კომპანიაში**.
- **2019** – ივანიშვილმა **დააბრუნა** თავდაცვის მინისტრად.
- **2021** – კვლავ დაინიშნა საქართველოს პრემიერ-მინისტრად.